ა ნ გ ა რ ი შ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და თვითმმართველობის საკითხთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ

(01. 09. 2013 - 01.09. 2014 წლები)

2014 წელი

კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ

კომისიის საქმიანობის ძირითად მიმართულებად განსაზღვრული იქნა საკანონმდებლო საქმიანობა, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება:

– **აგრარულ-სასურსათო სექტორის განვითარების, ძირითადი დარგების და მიმართულებების განვითარებისათვის ხელშეწყობის საკითხებზე;**

– **საადგილმამულო ურთიერთობის სრულყოფისა და მიწის ბაზრის ფორმირების ხელშეწყობის საკითხებზე;**

– **გარემოს დაცვის გაძლიერებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების ხელშეწყობის საკითხებზე;**

– **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების გაზრდის, სახელმწიფო აღმასრულებელ ორგანოებთან ურთიერთობის კოორდინაციის გაუმჯობესების ხელშეწყობის საკითხებზე;**

– სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;

– აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება;

– ამომრჩევლებთან შეხვედრები, მოქალაქეთა მიღება, მათი წინადადებებისა და განცხადებების განხილვა;

კომისიის მიერ გაწეული საქმიანობა, ძირითადი მიმართულებების მიხედვით

– აგრარულ-სასურსათო სექტორის ძირითადი დარგებისა და მიმართულებების განვითარების ხელშეწყობა:

აგრარულ და თვითმმართველობის საკითხთა კომისია თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა აგრარულ-სასურსათო სექტორის ცალკეული დარგების განვითარებისა და აგროსერვისის ერთიანი სამსახურის ფორმირების ხელშეწყობას.

კომისიას აქტიური საქმიანი ურთიერთობა აქვს სამინისტროსა და შესაბამის სამსახურებთან, სისტემატურად ერთობლივად განიხილება ცალკეული დარგებისა და ძირითადი მიმართულებების განვითარების პრობლემები.

კომისიის სხდომებზე მოსმენილი იქნა ინფორმაციები სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის, საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის, ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სეზონისათვის მზადების, აგროსერვისის ერთიანი სამსახურის ფორმირების მიმდინარეობის სხვა საკითხებზე.

ამასთან, კომისიის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ 2013-2014 წლებში ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სეზონთან დაკავშირებით ციტრუსოვანთა არასტანდარტული ნაყოფის დამზადების, სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგებასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტის და მოსახლეობისათვის შესაბამისი ობიექტური ინფორმაციის მიწოდების საქმეში.

კომისია აქტიურად მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების განხილვაში. კომისიაში მომზადებული იქნა არა ერთი წინადადება და შენიშვნა, რომელიც გათვალისწინებული იქნა მიზნობრივი პროგრამების საბოლოო დოკუმენტში.

კომისიის წევრები სისტემატიურად მონაწილეობას ღებულობდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შესრულების მონიტორინგში.

ამასთან, კომისიის სხდომებზე განიხილებოდა შესაბამისი ინფორმაციები მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მერაბ აბაშიძე მიწვეული იყო სოფლის მეურნეობის სამინისტროს საატესტაციო კომისიის წევრად და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან არსებულ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ციტრუსის შემფუთავი/დამხარისხებელი ან/და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის ტარის წარმოების საწარმოების მოწყობისათვის წარმოდგენილი განცხადებების შემსწავლელი კომისიის წევრად.

2013-2014 წლებში აჭარაში ჩამოყალიბდა და ეფექტურად ფუნქციონირებდა ციტრუსოვანთა ნაყოფის 36 შემფუთავი საწარმო. კომისიის წევრებს სისტემატიური კონტროლი ჰქონდათ დაწესებული ციტრუსოვანთა ნაყოფის ჩაბარებისა და რეალიზაციის მიმდინარეობაზე. შესაბამის სამთავრობო უწყებათა წინაშე აყენებდნენ საკითხებს ნაკლოვანებებისა და შეფერხებების აღმოფხვრისათვის.

ამასთან, კომისიამ სამუშაო შეხვედრებზე არაერთხელ იმსჯელა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 დეკემბრის №2174 განკარგულებით ექსპორტზე გატანილ ციტრუსოვანთა სტანდარტულ ნაყოფზე კომპენსაციის გაცემის საქმეში წარმოშობილი პრობლემების აღმოფხვრისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ.

აღსანიშნავია, რომ ჩამოყალიბდა ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვისა და რეალიზაციის სისტემა, რომელიც თანდათან დაიხვეწება და უფრო ეფექტური გახდება.

საადგილმამულო ურთიერთობის სრულყოფისა და მიწის ბაზრის ფორმირების ხელშეწყობის საკითხები

საადგილმამულო ურთიერთობის სრულყოფისა და მიწის ბაზრის ფორმირების ხელშეწყობა აგრარულ სექტორში საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიწის რეფორმის განხორციელება ფაქტიურად ორჯერ ჩაიშალა (1992-1999 და 2004-2006 წლებში). აღნიშნულის გათვალისწინებით, ჯერ კიდევ 2007 წლის 28 დეკემბერს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება და მას დაემატა მე-7[1] მუხლი „ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სოფლად მცხოვრები კომლების (ოჯახების) მიერ თვითნებურად დაკავებული მიწის საკუთრებაში გადაცემის წესი (28.12.2007 №5673)“, რომელიც ითვალისწინებდა:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სოფლად მცხოვრებ კომლებს (ოჯახებს), რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრებაში არ გადასცემიათ მიწის ნაკვეთები, მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებთან ერთად ამ კანონის ამოქმედებამდე თვითნებურად დაკავებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებიდან 0,30 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთები საკუთრებაში გადაეცემათ უსასყიდლოდ.“

მიუხედავად ამისა, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში 2008 წელს და მომდევნო წლებში შესული არაერთი ცვლილებების გამო, მე-7[1] მუხლით მინიჭებული უფლებებით ვერ ისარგებლა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების სოფლად მცხოვრები კომლების (ოჯახების) მნიშვნელოვანმა ნაწილმა.

ფაქტიურად, ერთსა და იმავე თემში მცხოვრები კომლები აღმოჩნდნენ არათანაბარ მდგომარეობაში. მათმა ნაწილმა, კანონში ცვლილების შესვლამდე შეძლო მართლზომიერ საკუთრებაში არსებული და თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება, ხოლო იმავე პირობებში მყოფი კომლების მნიშვნელოვან ნაწილს მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტების საკუთრების უფლების აღიარების კომისიებს განცხადებით მიმართეს კანონში შესულ ცვლილებამდე) უარი ეთქვა მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარებაზე „ფიზიკური და კერძო

სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში შესული არაერთი ცვლილებების გამო.

საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებით, პრობლემები შეექმნათ იმ კომლებს (ოჯახებს), რომელთა მართლზომიერ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ არ მდებარეობდა თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთები და იგი გაყოფილი იყო სასოფლო გზით, ხევით ან თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე არ ქონდათ საცხოვრებელი სახლი, ან არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობა და სხვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ კომისიაში მიღებაზე მოსული 1472 მოქალაქის და შემოსულ 425 განცხადების 90 პროცენტზე მეტი ეხებოდა მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების საკითხებში წარმოშობილ პრობლემებს.

ამ მხრივ არსებული პრობლემების გადაწვეტის მიზნით, კომისიაში მომზადებული იქნა საკანონმდებლო ინიციატივა „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ” საქართველოს კანონის მე-7[1] მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბების შესახებ.

კანონპროექტთან დაკავშირებით დღემდე მიმდინარეობს კონსულტაციები საქართველოს პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან და სხვა.

ამასთან, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მერაბ აბაშიძე მიწვეული იყო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე სახელმწიფო და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სარეგისტრაციოდ მოთხოვნილი უძრავი ქონების (საკადასტრო მონაცემებით) ზედდებასთან დაკავშირებით განცხადებათა განმხილველი კომისიის წევრად.

– გარემოს დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების ხელშეწყობის საკითხები

კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გარემოს დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების,

ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს ინტეგრირებული მართვის, ტყის დაცვის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების განხორციელებას.

კომისიამ მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელა აჭარაში ჰესების მშენებლობის შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკების შემცირებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებების მომზადებასათან დაკავშირებით, რომლებიც წარედგინა აჭარის მთავრობასა და მშენებელ კომპანიებს.

ამასთან, ხულოსა და შუახევის მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით, გადაწყვეტილი იქნა ჰიდროელექტრო პროექტის (შუახევიჰესი და სხალთაჰესი) მშენებლობასთან დაკავშირებით არაერთი საკითხი.

კვლავ პრობლემად რჩება გარემოს და ტყის დაცვის გაძლიერებისათვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა.

კომისიას მიაჩნია, რომ ტყეებისა და ტყიანი ტერიტორიების გამოყენება უნდა მოხდეს ისეთი ინტენსივობით, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი ბიომრავალფეროვნების, პროდუქტიულობის, თვითაღდგენისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას. ტყეთსარგებლობა არ უნდა იწვევდეს ტყეების გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების დარღვევას, სხვა ეკოსისტემების დაზიანებას და მისი სხვა ფუნქციური დანიშნულების დეგრადაციას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისიის ინიციატივით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 24 ივლისს №63 დადგენილებით შეიქმნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტების სატყეო ადმინისტრაციებში ხე-ტყის ფონდების გამოყოფის, მათი ათვისების, ტყის დაცვისა და ქარსაფარ ზოლებში არსებული მდგომარეობის საკითხის შემსწავლელი ჯგუფი“, რომელმაც უკვე დაასრულა მუშაობა და უმაღლეს საბჭოს წარუდგინა შესაბამისი დასკვნა.

უმაღლესი საბჭოს სესიის დადგენილებით დასკვნა განხილვისა და რეაგირებისათვის გადაეგზავნა აჭარის მთავრობას და პროკურატურას.

კომისიამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა მეთევზეებთან შეხვედრაზე დასმული სანაპირო თევზჭერის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტისათვის.

მომზადდა შესაბამისი წინადადება „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებაში ცვლილების შეტანის

შესახებ“ ნიჩბიანი და მცირე ზომის მოტორიანი ნავებით თევზაობის ნაპირიდან მაქსიმალურად დასაშვები მანძილის გაზრდის თაობაზე და სხვა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვალს №185 დადგენილებით ცვლილება შევიდა „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 20013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებაში“, რომლის მიხედვით სანაპირო თევზჭერა ნებადართულია არა უმეტეს ერთი საზღვაო მილის (1852 მეტრი) დაშორებით და სხვა.

ამასთან, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე მერაბ აბაშიძე მიწვეული იყო შპს „აჭარა ენერჯი 2007“-ის მიერ კირნათისა და აჭარისწყლის ხეობაში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით შერეულ სამთავრობო კომისიის წევრად.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების გაზრდის, სახელმწიფო აღმასრულებელ ორგანოებთან ურთიერთობის კოორდინაციის გაუმჯობესების ხელშეწყობა

კომისია აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოებთან მოსახლეობის მიერ დასმული სხვადასხვა საკითხების, განცხადებებისა და წინადადებების სამთავრობო უწყებებთან ერთობლივი განხილვისა და გადაწყვეტისათვის.

ერთობლივი საქმიანობის შედეგად გადაწყვეტილი იქნა სხვადასხვა სოფლებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის, ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით კომპენსაციების გაცემის და მიწათსარგებლობის, დასაქმების, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებული არაერთი საკითხი.

კომისია თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა თავისი კომპეტენციის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, მიზნობრივი პროგრამების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლის განხორციელებას.

ამომრჩევლებთან შეხვედრები, მოქალაქეთა მიღება, მათი წინადადებებისა და განცხადებების განხილვა

კომისიაში განსაკუთრებული ყურადება ექცეოდა ამომრჩევლებთან შეხვედრებს საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. განვლილ პერიოდში კომისიის წევრების მიერ სულ გაიმართა – **182** შეხვედრა. მათ შორის: ანზორ თხილაიშვილის მიერ – **114,** მერაბ აბაშიძის მიერ – **67** შეხვედრა.

შეხვედრებზე ვიწვევდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს; ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს; განათლების, კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს; ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს; საგზაო და სამელიორაციო სისტემების დეპარტამენტის და მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლებს, შეხვედრაზე დასმული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტისა და რეაგირების მიზნით.

კომისიამ მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელა შეხვედრებზე დასმული ისეთი აქტუალური საკითხების გადაწყვეტის საქმეში როგორიცაა: სხვადასხვა სოფლებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის, ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით კომპენსაციების, ჩაბარებული ციტრუსოვანთა ნაყოფის ანაზღაურების და სასოფლო-სამეურნეო ბარათების გაცემის საქმეში წარმოშობილი პრობლემების, მიწათსარგებლობის, დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ არაერთი საკითხის გადაწყვეტისათვის. რაც მთავარია შეხვედრებზე მოსახლეობას მიეწოდებოდა სრულყოფილი ინფორაცია კომისიისა და სამთავრობო უწყებების პოზიციის შესახებ კონკრეტული საკითხების გადაწყეტის მიმდინარეობისა და არსებული პრობლემების გადაჭრისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ.

ერთობლივი საქმიანობის შედეგად პირადად ჩემი ინიციატივით გადაწყვეტილი იქნა:

– რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობით გადაწყდა ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით, ქობულეთში, ჩოლოქის დასახლებაში კომპენსაციების გაცემასთან დაკავშირებული პრობლემები;

– ქობულეთის კულტურის სახლისა და სპორტდარბაზის მშენებლობის თანხების მოძიებასთან დაკავშირებული პრობლემები.

– ქობულეთის ყოფილი რაიონული საავადმყოფოს აღდგენა-რეაბილიტაციასა და მისი ფუნქციონირების განახლებასთან დაკავშირებული პრობლემები;

– ქობულეთში ე. წ. საავადმყოფოს უბანში ქუჩების რეაბილიტაციის პროექტის მომზადება და მისი დაფინანსება;

– სოფელ ლეღვაში ჩეხედანას ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოასფალტება;

– ქობულეთში თეთროსანის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოასფალტება;

– დაბა ჩაქვში ე. წ. მე-7 რაიონში აჭარის ქუჩის 2 კილომეტრიანი ზოლის, სოფ. ხალას, ჩაისუბნის, ციხისძირის, აჭის, ჭახათის, სამების და სხვა შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციისა და მოასფალტების დაფინანსების ბიუჯეტში გათვალისწინება და სხვა.

– ქობულეთის ასოციაცია „ღირსეული სიბერის“ ხანდაზმულების ქველმოქმედების მიზნით რამდენიმე კულტურული ღონისძიების მოწყობა, მათ შორის ქ. ბათუმის დელფინარიუმის დათვალიერება და სხვა.

ამასთან, კომისიის ინიციატივით კომისიის აპარატის თანამშრომლებისა და ბათუმის ბოტანიკური ბაღის დახმარებით მონაწილეობა მივიღეთ ქობულეთისა და ბობოყვათის ეკლესიების ეზოს კეთილმოწყობასა და გამწვანებაში.

უმაღლესი საბჭოს ბიუროზე დასმული წინადადებების შესახებ

კომისიაში მომზადებული იქნა და უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე დაისვა 5 წინადადება სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე მათ შორის:

1. აჭარაში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მეწყერსაშიშ ზონაში ცხოვრობს. უაღრესად დიდია ოჯახების რაოდენობა, რომლებსაც მეწყერული მოვლენების შედეგად დაუზიანდა საცხოვრებელი სახლი.

ფაქტიურად ყველა ასეთ ოჯახს გააჩნია გეოლოგიური სამსახურის დასკვნა, რომლის მიხედვით საცხოვრებელი სახლისა და ტერიტორიის სპეციალური გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების გარეშე ცხოვრება საშიშია.

დასკვნის მიხედვით საცხოვრებელი სახლის და ტერიტორიის გამაგრება მოითხოვს სპეციალურ საინჟინრო სამუშაოს განხორციელებას.

ასეთი ოჯახების უმრავლესობას არ გააჩნია სახსრები გამაგრებითი სამუშაოების პროექტების გაკეთებისა და სამუშოების შესრულებისათვის.

შესაბამისად, მოსალოდნელია საცხოვრებელი სახლების დანგრევა. აქ მაცხოვრებლები კი შეემატებიან ეგრეთწოდებული ეკომიგრანტების რიცხვს და მათი ბინით დაკმაყოფილება უფრო მეტ სახსრებთან იქნება დაკავშირებული.

მიზანშეწონილია, კომპენსაციის გაცემის ნაცვლად, ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხების ფარგლებში, ტენდერის საფუძველზე გამარჯვებული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული იქნას შესაბამისი გამაგრებითი სამუშაოები.

2. დღემდე მოუწესრიგებელია საკანონმდებლო დონეზე სანაპირო თევზჭერის საკითხები. ფაქტიურად, მოქმედებს ჯერ კიდევ, საბჭოთა კავშირის დროინდელი აკრძალვები მცურავ საშუალებებთან დაკავშირებით.

– გადასახედია მცურავი საშუალებების გაფორმების წესები: გამარტივებისა და გაიაფების მიზნით, გასაუქმებელია ყოველწლიური რეგისტრაცია.

გადასახედია ისეთი შეზღუდვები როგორიცაა:

– ნიჩბიანი და მცირე ზომის მოტორიანი ნავებისთვის ნაპირიდან მაქსიმალურად დასაშვები მანძილი.

– შესაცვლელია სახლართი ბადეების გამოყენების წესი.

აღნიშნული საკითხი გადაწყვეტილი იქნა. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №185 დადგენილებით ცვლილება შევიდა „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №423 დადგენილებაში“.

3. სოციალურად დაუცველი ოჯახები მიჯაჭვულია სოციალურ დახმარებაზე. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების ნებისმიერი წევრის მიერ, თუნდაც დროებითი სამუშაოს პოვნის პირობებშიც კი ოჯახს ეხსნება სოციალური დახმარება.

მიზანშეწონილია დაისვას საკითხი, სოციალურად დაუცველი ოჯახების შეფასების კრიტერიუმების შეცვლის შესახებ, იმის გათვალისწინებით, რომ მათ საშუალება ჰქონდეთ თანდათანობით თავი დააღწიონ სიღარიბეს.

შესაძლებელია განსაზღვრული იქნას შემოსავლების ზღვარი, რომლის გადალახვის შედეგად შესაძლებელი იქნება სოციალური დახმარების მოხსნა და სხვა.

4. იმის გათვალისწინებით, რომ დასავლეთ საქართველოში უკვე შესაძლებელია საგაზაფხულო სამუშაოების დაწყება, მიზანშეწონილია სასოფლო-სამეურნეო ბარათების გაცემა დაიწყოს თებერვლის მეორე ნახევრიდან.

5. მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სეზონის ორგანიზებულად ჩატარებისათვის, ფერმერთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ შესძლო ციტრუსოვანთა ნაყოფის დროულად დაკრეფა და შესაბამისად მათ მნიშვნელოვანი ზარალი მიადგათ.

სასურველია სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეისწავლოს ამ მხრივ დაზარალებული მოსახლეობის რაოდენობა, მათზე კომპენსაციის გაცემის შესაძლებლობის მიზნით.

კომისიის სხდომების შესახებ

– საანგარიშო პერიოდში კომისიაში ჩატარებული იქნა 26 სხდომა, მათ შორის 8 გაერთიანებული.

– კომისიის სხდომებზე განხილული იქნა 56 საკითხი.

მოქალაქეთა მიღება და განცხადებების განხილვა

– საანგარიშო პერიოდში კომისიაში მიღებაზე იმყოფებოდა **762** მოქალაქე.

– კომისიაში შემოვიდა **222** განცხადება.

კომისიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოქალაქეთა მიღებას და განცხადებების განხილვას. მათ მიეწოდებოდათ ამომწურავი, სამართლებრივად დასაბუთებული რეკომენდაციები პრობლემის გადაწყვეტისათვის განსახორციელებელ ქმედებებთან დაკავშირებით.

აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადადხვა ორგანოების წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობით დადებითად იქნა გადაწყვეტილი არა ერთი პრობლემური საკითხი.

საქმის წარმოების შესახებ

კომისიაში მიღებული იქნა სულ: 265 კორესპოდენცია.

მათ შორის:

– საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან და პარლამენტის აპარატიდან შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა – **93;**

– საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოებში, დაწესებულებებსა და უწყებებში, არასამთავრობო და კომერციულ ორგანოებში გაგზავნილი კორესპონდენციის რაოდენობა – **328;**

– საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებებიდან, დაწესებულებებიდან, არასამთავრობო, კომერციულ და სხვა ორგანიზაციებიდან შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა – **114;**

– აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია-კომისიებიდან და აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა – **165.**

– კომისიიდან გასული კორესპონდენცია – სულ: 787

– ამასთან, სხვადასხვა საკითხებზე კომისიაში მომზადებული იქნა 115 ინფორმაცია და მოხსენებითი ბარათი.

კომისია აქტიურად თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მასმედიის წარმომადგენლებთან. კომისიის წევრების მიერ მიცემული იქნა სულ – **59** ინტერვიუ. მონაწილეობა გვაქვს მიღებული 17 სატელევიზიო გადაცემაში.

მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში

კომისიის თავმჯდომარე მონაწილეობდა 2 სამეცნიერო კონფერენციაში.

– კომისიის თავმჯდომარე მონაწილეობდა მეციტრუსეობის განვითარების პრობლემებთან დაკავშირებით აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ მიმდინარე წლის 28 იანვარს გამართულ კონფერენციაში, მოხსენებით „მეციტრუსეობის განვითარების პრობლემები აჭარაში“;

– საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და სამთავრობოთაშორისო ექსპერტთა საბჭოს მიერ 2013 წლის 22 ოქტომბერს ერთობლივ კონფერენციაში „სატყეო პოლიტიკის საკითხებზე“, მოხსენებით „აჭარის უმაღლესი საბჭოს როლი სატყეო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციის პროცესში“;

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შესახებ

კომისიასთან ფუნქციონირებს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო, რომლის წევრები არიან ცნობილი მეცნიერები, სპეციალისტები და პრაქტიკოსები. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოსთან არის ოთხი დარგობრივი მიმართულება, მათ შორის:

– აგრარული სექტორის განვითარების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;

– ფერმერული მეურნეობის განვითარების, ფერმერთა სწავლება კონსულტირების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;

– გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;

– საადგილმამულო ურთიერთობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი.

გაიმართა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ოთხი სხდომა.

კომისიის თავმჯდომარე ანზორ თხილაიშვილი